დანართი #3

განაცხადის თანმდევი დოკუმენტაციის ნუსხა

1. შევსებული განაცხადის ფორმა;

2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში და ინდ. მეწარმის შემთხვევაში);

3. უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4. ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების შესახებ;

5. სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული ცნობა განაცხადით გათვალისწინებული მრავალწლიანი კულტურების სანერგის მოწყობის ადგილის ნიადაგის ვარგისიანობისა და შესაბამისობის შესახებ;

6. არსებული სანერგე მეურნეობის გაფართოება/მოდერნიზების შემთხვევაში სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული ცნობა პოტენციური ბენეფიციარის (სანერგის) კვალიფიციურობის შესახებ;

7. სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ მრავალწლიანი კულტურების (გარდა ვაზისა) ჯიში, რომლის გამრავლებაც ხდება სანერგე მეურნეობაში/მცენარეთა ინვიტრო ლაბორატორიაში, რეგისტრირებულია საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნულ კატალოგში, ევროპის კატალოგში ან იმ ქვეყნის კატალოგში, სადაც ჯიში იქნა გამოყვანილი. ამასთან, გაცემულ ცნობაში მითითებული უნდა იყოს, თუ არის დაგეგმილი „დაცული " ჯიშის გამრავლება. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია „დაცული " ჯიშის გამრავლება, დამატებით ჯიშის მფლობელის ნებართვა ჯიშის გამრავლების თაობაზე;

8. პროექტის განხორციელებისთვის შერჩეული უძრავი ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა);

9. ღია გრუნტზე გასამრავლებელი მასალის წარმოების შემთხვევაში, დასკვნა მიწის ნაკვეთის დამუშავებისა და წყლით უზრუნველყოფის შესახებ, გაცემული სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ;

10. ბენეფიციარის მიერ სააგენტოში წარდგენილი სანერგე მეურნეობის/მცენარეთა ინვიტრო ლაბორატორიის პროექტის საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული შესყიდვების ინვოისი ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;

11. ბენეფიციარის წილი თანადაფინანსების თანხის (მათ შორის, საქართველოში რეგისტრირებული საფინანსო ინსტიტუტებიდან ცნობა კრედიტის/ლიზინგის დამტკიცების შესახებ) დამადასტურებელი დოკუმენტი;

12. ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები;

13. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ან/და სსიპ „აკრედიტაციის ეროვნულო ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის" მიერ აკრედიტირებული პირების ან/და სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის" მიერ წარმოებულ რეესტრში

არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ,

14. სხვა დოკუმენტაცია, რომლის წარმოდგენას განსაზღვრავს სააგენტო.

შენიშვნა: ღია გრუნტის გარეშე გასამრავლებელი მასალის წარმოების შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ქონა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება არ მოითხოვება. ასეთ შემთხვევაში, ბენეფიციარი საკუთრებაში ან/და სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტის ორგანოსგან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან გრძელვადიანი იჯარით (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 წელს, იჯარის ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში) უნდა ფლობდეს შესაბამის უძრავ ქონებას, სადაც მოეწყობა სანერგე მეურნეობა, ინვიტრო ლაბორატორია, სათბური და სხვა.